

ბა, რომელსაც თავისი განუმეორებელი ავტონომიურობა არ ჰქონდეს.

ადამიანის მიერ განხორციელებული ყოველი ტიპის მხატვრული ობიექტიდაცა, რა მეთოდსაც არ უნდა ეყრდნობოდეს იგი, უთუოდ მოიპოვებს თავის კლასიკური ხაულყუფილების ღონეს. ე. ი. ადამიანის თითოეული მხატვრული გამოვლინება, თუ რომელიმე ისტორიულ პერიოდში პრიმორიულ დონეზეა განხორციელებული, ყოფიერების ისტორიულ პროცესში თავის სისრულეს მიაღწევს.

#### დილეგატურა:

1. ერნსტ კასიჩერი. „რა არის ადამიანი“, „განთლება“, თბ. 1983.

2. ხოსე ორტეგა ი. გასეტი. „ხელოვნების დასამართლება“. „ღომისი“ 1992.

3. Вельфин Генрих. «Основные понятия Истории искусств. Проблема эволюции

плющий стиля в новом искусстве. «Академия» Москва — Ленинград. 1930.

4. Примитив и его место в художественной культуре нового и новейшего времени. Москва, 1983.

5. Н. А. Алладашвили. «Монументальная скульптура Грузии», «Искусство», 1977.

6. Э. Кузнецов «Пироманы». «Искусство». 1975.

7. Н. Я. Малахов «Модернизм. Критический очерк». Москва. 1986.

8. С. Валериус «Прогрессивная скульптура XX века, проблемы и тенденции». «Изобразительное искусство». Москва, 1973.

9. ჟებბერტ ჩიდო. „მოდერნისტული ქანდაკების მოკლე ისტორია“. თბ. გურიაშვილი „სპეცტრი“. 1998. 1.

10. В. Беридзе, Н. Ёзерская «Искусство Советской Грузии 1921 — 1970». М. «Советский художник», 1975.

11. დედა ბაიბიძე. „ქანთური საბჭოთა ქანდაკება“. „მეცნიერება“. 1975.

ვუძღვის შამის,  
ვეროზ ურავაძის პსოვნის

## როგორმა სტუდია „რინარდ III“

20 წლის შემდეგ

კარია ურავაძე

მრავალი ათწლეულის მანძილზე საბჭოთა თეატრში დიდი სიტრთხილით ეკიდებოდნენ შექსპირის ისტორიული ქრონიკებისა და „რომაული“ ციკლის ტრაგედიების დადგმას. მათი დადგმისას განსაკუთრებული სიზუსტით გადმოსცემდნენ სცენაზე ისტორიული დროის „სულას და ატმოსფეროს“, რათა ამ ნაწარმოებში გახსნილ (სახელმწიფოსა და პიროვნების, ადამიანის ძალაუფლებისაკენ ლტოლების, ძალაუფლების უზურპაციის, ძლიერთა ქიშ-

პობისას ხალხის სიეალალო მდგომარეობის და სხვ.) თემებს არ გადაელას შექსპირის მიერ განსაზღვრულ ქრონოლოგიური ჩარჩოები და არ აემღვრია მაყურებლის აღქმა მისივე ქვეყნის წარსულითა და აწყოთი შთავონებული ასოციაციებით.

ჩვენი სიმშევილის დამცველებს შექსპირიანად ესმოდათ, თუ რაოდნენ დიდი ძალის ფუთქვებადი ნიკოლება ინახება შექსპირის ამ ციკლების ტრაგიკულ მასალაში, რომ რამდენიმე საუკუნის წინათ და-



შერილ „იუდისა კეისარსა“ და „რიჩარდ III“-ს გაანინა განსაკუთრებული სიძლიერის „ოპტიკური“ ძაღლა და ისინი მრავალჯერ მეტი სიცხადით არეკლავენ ჩვენს განველილსა და მიმდინარე ცხოვრებას, ვიზრე თვილიალური შემატიანების მიერ შეთხზული მრავალომიანი ფოლიანტურები.

სპექტაკლს არ უნდა აღეძრა შეყურებელმა არასასურველი ფიქრები და პარალელები. ყველაზე დასაშვები „შედარებითი მასალა“ იყო ფაშიზმი — მისი მსოფლიოზე შეგემონის გევმები და ამ გევმების უილბლო ჩაფუშვა. დასაშვები იყო უფრო აღრეული ანალოგებიც: აღექსანდრე მაკედონელი, ნერონი, ნაპოლეონი... სასურველ ასოციაციათა ნუსაში შედიოდა აგრეთვე ამერიკისა და დასავლეთევ-

როპული ქვეყნების „ყალბი დემოკრატია“, ლათინური ამერიკისა და აფრიკის ქვეყნების დიქტატორული რეჟიმები... „კეისრის სულს“ წება პეტონდა ეთარეშა მსოფლიოს ისტორიის წევისმიერ დროში, გეოგრაფიული რუკის წევისმიერ წერტილში, მაგრამ „ჩევნთან“ მას საერთო არაფერი უნდა პეტონდა. ისევე, როგორც მონარქიულ ფორმულას: „მეფე მოვდა — გუამარჯოს მეფეს!“ ის, უინც იმარჯვებდა ფინალში, უმთავრესად მოასწავებდა არა გაწყვეტილი მონარქიული ჯაჭვის აღდგენის, არამედ რაღაც ამსრატული „კეთოლი ძალის“ გამოცაბებას. გავისწენოთ ნათელით გასხვილსნებული რიჩარდი (იაკობ ტრიპოლსკი) ვ. უშმიტაშვილის 1957 წლის „რიჩარდ III“-ში.

შეესპირის ტექსტის დამდებარებული პიეთეტი დროის განმავლობაში სახელმწიფო პრინციპის ღონისძიებები იქნა აყვანილი. ეს არც ქრისტიანობის არ ეწერა, შაგრამ მტკიცებ იგულისხმებოდა... დიდი ინგლისელის პიესისადმი „არა-სათუთი დამოკიდებულება“ ჩაკარდნის ტრლფასად უნდა აღვეჭა კრიტიკული სრატიის მკითხველს.

სასაგიეროდ ზუსტად „აღღენილი“ ის-  
ტორიული ანტურაების ფონზე მსახიობები  
მეფობდნენ. დიდი მსახიობები, ისტორი-  
ული პიროვნების შექსპირსეული ინტერ-  
აქტუალურა უძლავრეს გასაქანს აძლევდა  
თითოეული მათგანის იშვიათ უნარს —  
ღრმად ჩაწერდეს გმირის შინაგან სამყა-  
როს და „გაითავისოს“ იგი. გმირში ისი-  
ნი, უპირველეს ყოვლისა, ადამიანს ექვე-  
დნენ და, სასცენო სახის შექმნისას, პირ-  
ელ ჰლანზე მისი პირადი ადამიანური  
ტრაგედია გამოკვეთდათ. ამიტომ უღერძა  
ასეთი სტატუსით ცერიკო ანჯაფარიძის  
კლეოპატრაში პოლიტიკურ ამიტიებს  
მსჯერპლატ შეწირული სიყვარულის თე-  
მა; გასო გომიაშეილის ჩინარძეში ნათლად  
იყითხებოდა დაზვეწილი ინტელექტუათა და  
ძლიერი ნებით დაჯილდოებული პიროვნე-  
ბის სულიერი დაკინებისა და გადავარე-  
ბის პროცესი...

70-იანები წლებშია ძირული გარდატეხა  
მოახდინეს თეოტიკების მიერ დროში კულტურ-  
გოული კლასიების სცენაზე „თანამედროვე  
ჭარითების“ საქმეში.

ამ პერიოდში „დიდი დიქტატორების“ მეურ მძღავრად აგორებული ისტორიული პროცესი თავის აშენარა უაშრო და ფარნესულ ფაზაში გადაიღია. ეს იყო ხანა, ანა ახმატოვას ტერმინი რომ ვისმართ, ზეკრად უფრო „ვიტეტარიანული“, ვიდრე ყველა მისი წინამდებარე პერიოდი. ხალხს შეიძი შეუნელდა, და, აქედან გამომდინარე, გაუმძაფრდა რეალობის საღად აღმისა და გონიერის თეალით განჭერეტის უნარი: მმართველობის საჭესთან განაწავებული კაცურები აშენად არ შეესიაծამებოდნენ უზარმაზარი სახელმწიფოს განვერტების შეუნების, რაოდენ მკაფიოდ არ

କାଲ୍‌ଆଶ୍ରମଦେବୀ ସାବାଗୁଲିଙ୍ଗ ଗାୟତ୍ରୀ, ମିଶରାମି  
ମିଶି — ଶବ୍ଦମାରକ୍ଷେଣିନ. ଏହିରୁକ୍ତ ଅନ୍ତରାପିନିର  
ବ୍ୟାପନତ୍ବରେ କୃ ମାନ୍ଦ୍ର ସାତିଫ୍ଯାତନ ଏକପାଇ  
କିମ୍ବାଧିକରଣାବ୍ଦୀ. ମାତ୍ରାଚି “ବ୍ୟାପନରୀବାନ୍ଦୁମି”  
ଶରୀରମ ମାତ୍ରାକ୍ରମନ୍ତ୍ରେ ଆଦିମିଳାନ୍ତି “ସ୍ଵାଧୀନରୀ  
ମିଶିଗୁରାପୁରୀବି” ଫ୍ରାନ୍ତିନ୍ଦ୍ରଦେବୀ ଏହିକ୍ଷେତ୍ର ଦ୍ୱାରା ଏଥିତ  
କିମାନାବ୍ଦୀରେ, “ପାତଲ୍‌ପ୍ରେତୀବିନାବିନା” ଦ୍ୱାରା “ଅଲ୍ଲପ୍ରେ-  
ତ୍ରେତୀବିନି” ରିପ୍ରେକ୍ଷଣ. ଶୈଖରି ମାତ୍ରାକ୍ରମନ୍ତ୍ରେ କ୍ରେଣ୍ଟାନ୍ତି  
ପ୍ରମାଣିତ ହେଉଥିଲା ଏହି କିମାନାବ୍ଦୀ କ୍ରେଣ୍ଟାନ୍ତିରେ ଉପରୁ-  
ବ୍ୟାପନ ଏବଂ ପାତଲ୍‌ପ୍ରେତୀବିନାବିନା ଦାମିତାକ୍ଷେତ୍ରେଲି. ଏତ-  
କିମାନାବ୍ଦୀରେ କିମାନାବ୍ଦୀରେ କିମାନାବ୍ଦୀରେ କିମାନାବ୍ଦୀରେ  
କିମାନାବ୍ଦୀରେ କିମାନାବ୍ଦୀରେ କିମାନାବ୍ଦୀରେ କିମାନାବ୍ଦୀରେ

წწორედ ამ დროს, 70-იანი წლების პირველ ნახევარში, რომელთ სტურა პოლიკარპე კაკიძემის „უვარყვარე“ დაღვმით ქმნის „პროლოგს“ იმ გრანატიოზული თეატრალური ეპოქისა, რომლის ჰერმანიტი იღეურ-მხატვრული მასშტაბები მცოლოდ 80-იანი წლების დასასრულს გამოიკვეთა, როდესაც სპექტაკლ-გაფრთხოებულბათა რიგს („უვარყვარე“ — 1974, „რინარდ III“ — 1979, „სურეგასის დღე“ — 1985) მიემართა სპექტაკლი-განაჩენა — „მეფე ლირი“ — 1987 წელს. „უვარყვარემ“ ცხადად ჭარმოაჩინა, თუ რა ფისტურებელი „იარალი“ გამოინა თეატრს სატეატრო

ლირსების, დასაცავად — დრამატურგიული კლასიკა და ბერტოლდ შრექტის „ეპიური განსხვისების“ მეთოდი. სწორედ ეს უკანასკნელი ხყო ის „ხერხი“, რომელსაც ჯორჯო სტრელერის განსაზღვრით „ძალა შესწევდა ახალი შექით გაენათებინა ცნება, იდეა, აზრი... გადაეშალა მაყურებლის წინაშე სამყაროს უსასრულო ცვალებადობა; ფრეკულო სახით წარმოედგინა ჩვეული და ნაცნობი; თითქოს პირველად შეტელი მდო შინაგანი წინააღმდეგობითა და სიმძლავრით წარმოედგინა ეესტი, ქმედება, სიტუაცია; ანდა პირიქით, აეჭინა ჩველასთვის, ვინც უჟურებს და უსმენს, რომ ადამიანთა შედის უკუღმართობის, თავად ადამიანური არსისა და ქმედების წინააღმდეგობათა და „გამოუცნობაზონის“ მიღმა დგანან ცხოვრების კონკრეტული, ზოგჯერ ძალის შარტიიდ კანონები, რომლებიც უკელახე კრცელდება, რომელიც შეიძლება აიხსნას და რომლებიც უკელახე შესაძლებელია ზემოქმედების მოხდენა<sup>1</sup>.

ბრეხტის „გასაღებით“ გახსნილმა „შეარყვარებ“ დასაბამი მისცა იმ ფრეკულ „პრამოლურ“ დიალოგს მაყურებელსა და

თეატრს შორის, რომელშიც დროის კან მავლობაში სულ უფრო დრო „მარტინ შედებოდა მათ თო აზრი არსებული სინამდვილის ჭეშ-მარიტ სოციალურ და ზნეობრივ საფუძველებზე, — აზრი იმის შესახებ, რომ „პარარა შედროვისა“ და „დიდი ტირანის“ განდიდებისაკენ მიმავალი გზები თითქმის არაფრით განსხვავდებიან — როგორც ერთის, ასევე მეორის ასავალი გატკეპნილია: ადამიანთა სულიერი სიბეცით, წინდაუხედაობით, ბოროტებისა და უსამართლობისადმი მომთმწნობითა და ამ ადამიანთა სახელი — ლეგიონია.

ეს იყო თავისი დროისათვის უაღრესად თამაში სპექტაკლი, თამაში თუნდაც იმის გამო, რომ მასში კოველგვარი ქარაგ-მებისა და აღუზიების გარეშე იყითხებოდა ულვთოდ და უკელესიოდ დარჩენილი ქვეწისა და ხლანის მედი. „ყვარეუვარეს“ მოქმედების ადგილი — დანგრეული და გაძარცული ტაძარი — პირდაპირ მიმართებაშია 13 წლის შემდეგ დადგმული „მეფე ლირის“ ტრაგიკულ ფინალთან, როგორც მისი აზრობრივი პარალელი და ამას-თანავე, როგორც „გლობალური კატასტ-



ჰოცის“ მიშებულია ამხსნელი მხატვრული სახე.

„რიჩარდ III“ რუსთაველის თეატრის სცენაზე არც გარდასულ ძროთა ქრისტიანულ აღიმებოდა და არც ტრაგედიად ამ ჟანრის ტრადიციული გაგებით.

ცნობილი პოლონელი კრიტიკოსის იან კოტის აზრით: ტრაგედია, როგორც კათარზისი შესაძლებელია მხოლოდ იქ, სადაც არსებობენ რელიგიის, მედის შემცირის, მორალური პრინციპების ცნებები... იქ, სადაც ეს აბსოლუტები არ არსებობენ, ტრაგედიის ადგილს იყავებს გროტესკი. მას არ მოაქვს შეწყარჩება... ტრაგედია, — ამბობს კოტი, — ეს ქურუმთა თეატრია, გროტესკი კი — მასშარების თეატრი.<sup>2</sup>

ი. კოტის ეს განსაზღვრა არა კულტურული იყვანი ზუსტად მიესადგება რ. სტრუნას მიერ „რიჩარდ III“-ის სახელწოდებით წერმინიდან სპექტაკლს და იმ ხანის პოლიტიკურ, სულიერ და ზნეობრივ ატმოსფეროს, რომლის ფაზზე და რომლის საპასუხოდ იქმნებოდა ეს სპექტაკლი.

რუსთაველის თეატრის სცენაზე გათამაშებულმა ტრაგიუარსტა მანამდე წარმოუდგენელი გამჩებაობით დაარღვია ქართულ სცენაზე შესაძირის „ხელუხლებობის“ თითქმის საუკუნოები ტრადიცია. პარსის უანრის საჯარო შსსხვერპლშტორვა ერთის მხრივ მკერქელობადაც შეიძლებოდა ჩათვლილიყო... მაგრამ ეს გამიშნეული „მკრეხელობა“ 70-იანი წლების „ალავერდობაში“ ისევე აუცილებელი იყო, როგორც გ. ჩერეულიშვილის გმირის მიერ ჩადენილი აღმფოთებითა და სასოწარკვეთით აღსავსე აქცია.

საკმარისის იყო პიესის უანრის „გაურხოება“ და პიესის დრო ადგილობრივია. მისმა, ახლა უკვე დაუკოებელმა დინებამ, როგორც სცენაზე, ასევე მაყურებლის წარმოსახვაში ისტორიის თვალუწვდენელი სივრცე მოიცვა... და მოხდა ის, რისიც ესოდენ ეთაკილებოდათ შექსირისადმი „სათუთი მოპერობის“ ოლიცალურ მექანიკურებს: როგორც კი მოწყდა პიესის მოქმედება ავტორის მიერ აღნიშნულ „დროსა და აღგიღს“, როგორც კი მიიღეს მასში ასაზულმა ხასიათებმა და მოვლენებმა ზოგადდორულობის მასშტაბი, სასცენ-

ცნ სივრცეში სისხლითა და ძალადობით აღმეჭდილ ეპოქათა რიგში ირგვინული „ჩაჯდა“ ის ხანაც, რომელსაც „ჯვრული ბაზარი“ დასტური ისტორიული გარდამხების ეპოქას“ უწოდებდნენ, და რომლის უშუალო გავრცელებას წარმოადგენდა ჩევნი იმდროინდელი აშშის თითქოს სამუშაოდ განსაზღვრული შეცვლელობა და სიმშვიდე.

სცენური შოქმებულება თავაშდებოდა არა შარტო „აწმონას“ და „წარსულის“ ფონზე. სცენაზე პიროვნობირებული იყო „მომავალიც“, იმგვარი, როგორიც იქნება იგი, თუ „რიჩარდის“ შარჯე წინსვლას შოლო არ მოეტება.

მოქმედების ადგილი მოგვაგონებდა საშინელი კატასტროფის შემდეგ რაღაც სასწავლით გადარჩენილ მიწისკვევა შეწყერს. მ.სი აღუმინის კედლები ცეცხლისაგან იყო დაჭრული... აღავააღავ პირი დაეღო ფართო ხერელებს. სწორედ ამ ხერელებიდან, თითქოს არსადან, გამოეცხადებოდნენ სცენას სხვადასხვა დროთა ტანასაცემში გამოწყობილი აღამინისმაგარი შაქცეიბი, გამოეცხადებოდნენ იმისათვის, რომ შეესპირი ტრაგედიის „ფიცარნიაზე“ გაეთმაშათ აღამინის ძალაუფლებისაკენ შევლელობის, ისტორიის თეალსაზრისით, „კლასიკერის“ სიუკეტი.

მაგრამ, სანამ ქმედება დაწიწებელი დაუკურებელს საქმით დრო ეძღვირდ იმისათვის, რომ გულდასმით მოევლო თეალი სცენაზე გამეფებული „სეთრი დუმილისათვის“, გონების ურით „გაეგონა“ ის გულშემზარავი გუგუნი, რომელიც თან სდევდა ოდესაც სიყვარულითა და მოთმინებით აშენებული ქვეყნის აქეცევას, თვალი მოეკრა მიწყნარებულ და უშფოთველ სცენურ გარემოში ლოპობისა და გაპრინის აშეარა ნიშებისათვის: კიდემომწვარი მოთეთრო ტილოს ფარდა თითქოს ჩამოღვენთილიყო ბრჭყვილა აღუმინის კედლებზე, შეაგულში ჩამინგრეული ჭერი და ჭალის აღგიღას რაღაც უცნაურად ჩამოძონილი ქსოვილის ნაფლეტბი ჩანდა.

...ვიღაც უხილავს კედლებთან შეკუდებინა გიგანტური ფიწლები, ნამელები, ცელები, შუბები — აღამინის შრომისა და, ამასთანავე, აღამინის მოყვასის წინააღმის

დევ გახტლებული გამჩედრების შრავალნიშნადი სიმბოლოები.

შოქმედების შონაშიმღერთა გამომარცმელი სწორებ ეს უსიტყვით საგრძნი გვიყვებოდნენ იმ მთავარზე, რისთვისაც დაიდგა ეს სპექტაკლი; მოვალეობდებოდნენ ნაგულიშვილით მთ შონის არაუგულ კაშტის, მათ უჩინარ ერთიანობას იმ ძალასთან, რომელმაც დამახსო სასცენო სიერცეში ნაგულისშევი ქვეყნის ერთა გააპო მისი „ჰერი“, ცეცხლითა და ფოლადით ამოშიგა მისი კედლები... მოვალეობდებოდნენ პარტერის სიშორილან გვევრმინ მათი მახვილების, მათი წმინდად გაღესილი კიდევების მომაკვდინებული სიბასრე.

და აქვე, ავანსცენაზე, დროდადრო ირჩეოდა წყლის წისკეილის ბორბალი. ამ სახეში შერწყმულ ბრუნვისა და დინების ცნებებს უნდა გაეხსენებინა მაყურებლისათვის დროის ულმობელი წარმატლობა, ადამიანთა ენებათა და გარჯის ამაოება გარდაუვალი სიკედილისა და მარადისობის წინაშე.

ცენაზე წარმოდგენილი საგრძნი და აქსესუარები თავისი აქსით მსოფლიო ლიტერატურისა და ხელოვნების ისტორიებიდან იყენენ, როგორც მათ გარემოცვაში მოქმედი ძალაუფლების უნით შეპრობილი ტირანი და მისი მეტოქები. ბორბალი, ცელი, შები, მახვილი... შედგე შოქმედებაში — ტატტი, უშადოტის მაგვარი ტრიბუნა... მათი მრავალი რიგოვანი მანალების არსებობა წინასწარ გათვალისწინებული იყო რეისონისა და სცენოგრაფიის, მირიან შევღების მიერ. ეს ხერხი მიზნად ისახავდა „გაერიზიანებინა“ მაყურებლის ვრჩებათა ბიუება, გამოწევია მის ემოციურ შეხსიერებაში შესაბამისი მსატვრულაზროვნი და გრძნობადი ასოციაციები და ამით სპექტაკლის აღქმა თანაგინდისა და თანამზროვნების ხარისხში აყვავანა.

სპექტაკლის დახატვისში ამ უთქმებლ „მოქმედ პერთ“ შორის ფილმისფირი და მსატვრული მრავალმინიშვნელობის ფასაზრისით პირველობა უკველად ძელზე შემომზდარ ყორანს ეკუთხონდა... ბოსხი, ბიოჭლინი, ედგარ პო, ზარათა-

შეიღი, ვაჟა-ფშაველა... აქ, მეტრების ღლით მოცულ სასცენო „კუნძულშე“ აგრ ისეთივე დაუპატივებული დაუზოგვევებული აუცილენელი სტუმარი იყო...

და უცებ, ცენის შორგუნავ ზორუეში ნავის ნავალიდით შემოიჭრებოდა ფარლი ჩერის ეტიუდის შევეთრი შეგრები.

ძალადობის არაადმინისტრი არსის სამხილფბლად რ. სტურუა ამ სპექტაკლში, ისევე როგორც „უვარუებარები“, არაერთხელ მიმართავს ამ არსის უველაზე ქმედით ალტერნატივას — მუსიკას, მის კლასიკურ, მარადიულ ნიმუშებს. „უვარუებარები“ ბეთოვენის პერიოკული სიმფონია უღერდა... „რიჩარდ III“ დასახუისში კი ცენას ბავშვების მოგონებების აღმძერებულ ჩერინის ქრესტომათიული ეტიუდი მოველინა. მის მელოდიაში ცოცხლდებოდა პევლაფერი ის, რასაც ჩენ ვერ ვიხილავდით სპექტაკლში და რაც, საბერძნიეროდ ჯერ კიდევ არსებობს დედამიწაზე: ბავშვურ სულის უმანველება, სიკეთე, ის წმინდა ოცნებები, სიცოცხლის დასახუის რომ ახლავს მშობლოდ... ეს გამჭვირვალე ბერები თან სდევდა შავმოსასაშინი ქალის გამოსვლას. შავ შედეა ჩახავა ანსახიერებდა. ქალი ძაბებში იკეთებდა სათვალეს, გადაშლიდა წიგნს... მაგრამ მისი განხრაზე ა მათოდ ჩერბოდა... მომავალი გმირები არ საჭიროებდნენ წინასწარ წარდგნას. ისინი ოვითონ გაართევდნენ თავს ამ ამოცანას. განკითხვის უმსაც თავად განსაზღვრავდნენ თავისი ცოდვების სიმძიმეს, რამეთუ თითოეული შათგანი არა მარტო მონაწილეა სცენაზე გათამაშებული ამბისა, არამედ „მოწმეც“, უველაზე სანდო და მიუკერძოებელი.

ზეაოტყორენებოდა თეთრი ტილოს „ჰერი“ და მაყურებლის წინაშე გაშიშვლდებოდა ცენის უკანა კედელი, შეაგულში შავშნელი ხვრელით. მის წინ გახტებით ცეკვადნენ წვევილები. ბრბოს როვას თვალს აღვენებდა „ვინმე ნაცრისფერში“. მისი შეერა უურადლებინი და დამინავი იყო. ის აკვირდებოდა იმ ადამიანურ შესალას, რომელიც ცოტა ხანში მის ნების მორჩილ მასად უნდა გადაეცია, იმ „ხალხად“, რომელმაც თავისი უმოქმედობით და დუმილით უკვე არაერთხელ შეუწყო

კელი მსოფლიოში ბოროტების შეუფერ-  
ხებდად პარაშეს.

გაშემატებული რიტები თანდათან  
ცხრებოდა, დაქანცული წყვილები იატაზე  
ეცემოდნენ და ნაცრისფერშინელიანი კაცი  
კმაყოფილი ღიმილით და თითქოს ოდნავ  
შეცემნებული საკუთარი მინაგანი ძალის  
სიძლიერით ალავებდა მიწაზე გართხმულ  
სხეულებს შორის. იგი ავანცუნისაკენ მი-  
იწვევდა. ჩევნს წინ რიჩარდი იყო, რამაზ  
ჩინკვაძე... ამ სახის მხატვრულ-იდეური  
არსი უკვე თავიდანვე იყო გაცხადებული  
— დეტალორულ ფრენჩში, შეერის პი-  
ნორულ ძალაში, აშკარად შზაკერულ მიმი-  
კასა და მისრა-მოხრაში, და უკვე თავი-  
დანვე ტანა იყო: ამ სპექტაკლში რიჩარდს  
„შასხარა“ განახასხიერებს... სწორედ ამ  
ორი სახის თანაარსებობა განაპირობებდა  
რამაზ ჩინკვაძის მიერ შექმნილი როლის  
გროტესკულ სიმწვავეს, მის უდიდეს გან-  
მაზოვადებულ და მამხილებულ ძალას. ერთ  
როლში მოწიფედებული „მეცე“ და „შას-  
ხარა“ — მოძალადე და მისი აბუჩად ამ-  
გდები, მისთვის სიმართლის მთქმელი —  
სწორედ ეს უჩევულ სინთეზი ზაღვებდა  
მაყურებელში იმის შეგრძნებას, რომ შექ-  
სირის გმირის „მოსახსამას“ და „ნიღბა-  
ში“ მის თვალს უკრავს და ნიშნისმოგებით  
იმანჭება მის წინაშე ათასსაბიან და ათას-  
სახელიანი არსება. მისი ნაცნობი და ჩევნ-  
თვის ჯერ კიდევ უწნობი „სახევის“ კა-  
ლეიდოსკოპური სისწარტით „მონაცემე-  
ობა“ უსასრულობამდე წელვდა და აგ-  
რძელებდა სცენურ დროს — გვახსნებდა  
წარსულს, ჩაგვაიტერებდა დღევანდლო-  
ბაზე, წინასწარმეტყველებდა სამერმისოდ.

რამაზ ჩინკვაძის რიჩარდის მეტამორ-  
ფოზები ამ სპექტაკლის სხვა მოქმედ პირ-  
თა სახეებშიც ვლინდებოდა. რიჩარდის გა-  
მოჩენისთანავე მის გვერდით რიჩმონდი  
ჩიდებოდა — აკაკი ხიდაშელი. შექსირის  
რიჩმონდი ტრაგედიის მხოლოდ მოლო შო-  
კმედებაში გამოჰყავს. მისი გამოჩენა ფი-  
ნალში მოასწავებს ბოროტი უზურპატო-  
რის „სამართლიანი მეფით“ შეცველას.  
რ. სტურუას სპექტაკლში კი იგი რიჩარ-  
დის ორეულად, მის სულიერ მექვიდრედ  
აღიქმებოდა. რიჩარდი — რ. ჩინკვაძე  
უზვად უკოფრდ მას თავისი ფარული „სა-

შზარეულოს“ კერძებს, მათი მომზადების  
და შეეაგმის მხოლოდ მისთვის ცნობილ  
საღამოლოებებს. თავის პირველ „სამართლიანი  
რამო“ მონოლოგს იგი მთლიანად მას „უძ-  
ლვიდა“: გრძნობდა მასში თავისი „პეტის“  
შეშემარიტ ამძიასებელს...

შექსირთან რიჩარდი მართლაც ძლიე-  
რი და სხევებისაგან გამორჩეული პიროვნე-  
ბაა. მისი „გზა დიდებისაკენ“ არა მარტო  
ზიზხსა და აღმფოთებას ზაფხუს, არამედ  
სინაულის გრძნობასაც იმის გამო, რომ  
ასეთი სიძლიერის ნება, ასეთი უნიკალური  
ინტელექტური, ასეთი თავდაუზოგავი სიმა-  
მაცე ეწირება ადამიანისათვის ულირსი  
ზრავების განხორციელებას. გადამწყვეტ  
როლს შექსირის რიჩარდის ქმედებათა  
მოტივირებაში მისი ფიზიკური სიმახინჯვ  
თამაშობს. იგი არა მარტო მისი სულიე-  
რი სიმახინჯვის ხილული სახეა, არამედ  
მის მიერ ჩაფიქრებული ბოროტების ერთ-  
ერთი ძირითადი მიზნებიც. სწორედ ამის  
საზღაურად სურს მას ჩაიგდოს ხელში  
ძალაუფლება და დაუმტკიცოს ყველას,  
რომ აი ასეთი — უშო, ტანით სუსტი და  
კუზიანი — იგი მაინც ხელმწიფედ არის  
დაბადებული, რაღაც ღმერთმა სწორედ  
მას უბოძა ის განსკუთობებული ძალა და  
ხილი, რომლის ბადალი არ გააჩნია არც  
ერთ მის მეტოქეს — გარევნულად უზა-  
ღოსა და კეთილშობილს.

რამაზ ჩინკვაძის რიჩარდი თავის გა-  
რეკულ არასრულყოფილებას ისევე მო-  
ხერხებულად იჩვებდა, როგორც ნაცრის-  
ურ შინელს. მისი გარეგნობა, ისევე, რო-  
გორც მისი რუხი სამოსელი მისთვის „მი-  
მიკრისის“ საუკეთესო საშუალება იყო. იგი  
არწმუნებდა კუველას, რომ სუსტი და უფ-  
ნებელია, საშუალოზე საშუალო, თოვემის  
შეუმნიკველი. არწმუნებდა, სანამ მასში  
მართლაც არ დაინახეს მეცე ედეარდის  
ყველასათვის მომებიანი შემცვლელი, ისე-  
თივე არარაობა და სიმახინჯვ. მაგრამ მი-  
აღწევს რა თავის მიზანს, იგი სწორდება,  
მისი „კოჭლობა“ და „კუზი“ ერთბაშად  
ქრება მის ნაცრისფერ სერთუეთან ერთად.  
გამარჯვებული, იგი შავ ბზინვარე მოსას-  
ხაში გამოგვეცხადებოდა და თავისი იე-  
რით სავსებით შეესაბამებოდა პარიზმატუ-



და იერით შოცული ქვეყნის ღიადერის ტრა-  
დიციულ იქნა.

რიჩარდის „არაუნიკალურობა“, მისი,  
როგორც სოციალური მოვლენის ათასჯერ  
და ათასგვარად განმეორებადობის იდეა  
მხოლოდ რიჩარდის, მისი სასცენო ორე-  
ულის, სახით როდი ისაზღვრებოდა. სტუ-  
რუას სპექტაკლში რიჩარდს სცენაშე „გამ-  
რავლების“ და მრავალსახეობის უბადლო  
უნარი გააჩნდა... თითოეული მოქმედი პი-  
რი უშუალო თუ შოვლითა გზებით რიჩა-  
რდის „თანამონაწილე“ იყო, თითოეულს  
გვირგვინისაკენ საკუთარი გზა პერნდა გა-  
აზრებული, და თუ რიჩარდმა შესძლო გა-  
მარჯვება, ეს მოხდა მხოლოდ იმიტომ,  
რომ სხვებშე ცდიერი, ცინიკური და და-  
უნდობელი აღმოჩნდა.

რიჩარდის შემდეგ მაყურებლის წინაშე  
კლარენსი წარსდგებოდა, გიორგი ხარაბა-  
ძე, ვებერთოელა, გულ-მექრდ გაღელილი  
ადამიანი მძიმე ქურქში — იგი პოლბეგი-  
ნის დინჯ და დარბაისელ დიდგვაროვანთა  
იერსახების აშეარად პაროდიულ „პარა-  
ფრაზს“ წარმოადგენდა. მეფის ძმა ციხე-  
ში შიპყავთ! ამაზე მართლაც შეიძლება იხ-  
არხარო და კლარენსიც უჭვად სთავაზობ-  
და კველას მონაწილეობა შეიღოთ მის  
პიმერულ მხიარულებაში.

მის მოწოდებას პირველი რიჩარდი ვა-  
მოეხმაურება. მსხვერპლი და ჯალათი  
ერთ გულიან სიცილში ერთიანდებოდნენ  
და ტრაგიკულ ირონიით გამსჭვალული  
შექსპირული ეპიზოდი ბუჭონადის სახეს  
იძენდა. ორი „ჯამბაზი“ თითქოს თავის  
ნებაზე „ათამაშებდა“ შექსპირის ტექსტს.  
ერთო მათგანი კეთილი და გულუბრუი-  
ლო იყო, მეორე კი ანცი და ეშმაკი...

კანონიკური ტექსტის „გაუცხოება“  
მისთვის თითქოსდა სრულიად უცხო სანა-  
ხაობრივი უანრის საშუალებებითა და ხერ-  
ხებით აშევლებდა და ამძაფრებდა მისი  
არსის ზოგადსაყაცობრივი ტრაგიზმს. რი-  
ჩარდისა და მისი ძმის კლარენსის ამბავი  
სცენაშე „მარადიული სიუჟეტის“ ხარის-  
ხში იყო აყვანილი. ამ „სიუჟეტის“ უნი-  
ვერსალურ ჩარჩოში იგულისხმებოდა მისი  
ბიძლიური ვერსიაც და ის უთვალავი მო-  
დიფიკაციები, რაც განიცადა ძმათამკე-  
ლელობის ინსტიტუტმა თუნდაც ამ ორი  
უკანასკნელი ათასწლეულის მანძილზე...

სცენიდან გასვლას ვერ ასწრებდა კლა-  
რენსი და ჩვენს წინაშე უკვე ახალი მო-  
ქმედი პირი ჩნდებოდა, ლორდ პეტრინგსად  
წოდებული — მსახიობი კახი კვესაძე. ამ  
სპექტაკლში იგი რიჩარდის მთავარი შე-  
ტოქე იყო ტახტისათვის ბრძოლაში და

შექსპირის გმირისაგან განსხვავებით კე-  
თილშობილების ნასახიც არ გააჩნდა. სამა-  
გიროდ, თავიდან აშეარა იყო მისი რიჩარ-  
დთან შესავარება — ნაპოლეონისული გრი-  
მი და წარმოდგენისათვის მუდმივი შზად-  
ყოფნა.

ჰესტინგსაც ეძღვოდა სპეციალში ხა-  
კუთარი, სხვებისაგან განხვავებული ეფ-  
ეტიური „გამოცხადება“. სცენის უკანა ძე-  
დედმი ამოსერილი ბნელი ხერხლიდან იგი  
სრულიად მოულოდნელად გამოჩნდებოდა. თითქოს რაღაც ძალებმა, მისდა უნებლიერთ,  
გამოაჭევეს ისტორიის ჯურლულიდან,  
ხელში დროშა დააჭირინეს. და სხაპასხუპით  
გააცნეს თუ რა უნდა თქვას და როგორ  
იმოქმედოს სცენაზე. მას საღათას ძირში  
დიდან ნაშენება აღამინის გამოხედვა  
პქონდა, მოძრაობა შენელებული... მაგრამ,  
მიუხედავად ამისა, მან უკვე მოასწრო შე-  
ეგნო თავისი ფორმალური როლი — კა-  
ნონიერი ხელისუფლების დამცელისა და  
ეს თანდათანობით სულ უფრო და უფრო  
„მტკიცება“ მასში. დროშისთან ერთად  
მას სათანადო ფრაზაც პქონდა მომარჯვე-  
ბული, რომელსაც არა ერთხელ იმეორებ-  
და ამ სცენაში: „აბა რას პეგას ეს? არ-  
წივებს გალიაში უნდა ამწყვდევნენ და  
უვა-უორნები თავისუფლად დანავარდობ-  
დნენ?“ მის ერთობ მექანიკურ, უგულო  
გამორჩებაში ეს ფრაზა ოდესადც პათო-  
სით აღსავე ტექსტის ისეთივე ფერმერთა-  
ლი და უაზრო „ნაფლეთი“ იყო, როგორც  
მისი წარმომთქმელის ხელში აღმართული  
დროშის ფერწასული ნაჩინები.

ლედი ანას (ნანა ფაჩუაშვილი) პირ-  
ველი გამოცხადებაც მთლიანად არღვევდა  
ჩეელ მოლოდინს — გვეხილა მედიტური  
ჯლოვით აღსავე მანდილოსნის გამოსვლა.  
ჩამი შელოდის თანხლებით, უეკნების ნაზ  
წრილიაში სცენაზე ფეხს შემოაფამდა და  
მერე ნელი ნაბიჯით გააგრძელებდა სელას  
სუსტი აღნაგობის თავშიშველი ქალი ჭრელ  
და დაძნიდლ მოსასხამში. მყიფე, ნაზი არ-  
სება, უკვე თავიდან სამსახურშლოდ თავ-  
განწირული კრავი. მას მიყვებოდა მეკუ-  
ბოვეთა ჯგუფი. პიესის რემარკის შესა-  
ბამისად, მათ პერი VI კუბო მოპქონდათ.

შექსპირთან სწორედ ამ სცენაში და-  
ბიერებს პირველად მყითხველი რიჩარდი  
შეუდარებელ უნარს მთლიანად დაუკუთხებულ  
დებაროს აღამინი თავის ნებას, თავისი  
ზრასვების მორჩილ იარაღად აქციოს იგი.  
სპეციალულში ამ სცენის ინტრონაციური და  
პლასტიკური პარტიტურა, მისი აზრობრი-  
ვი და ემციური აქცენტები მაყურებლის  
უზრადღებას არა მარტო რიჩარდზე ამას-  
ველებდნენ, არამედ მის „მსხვერპლზე“ და  
ამ მსხვერპლის „დინაშაულზე“. ლედი ანას  
აქ მხოლოდ წამიერი აღმფოთების უნარი  
გააჩნდა. მორჩილი და სუსტი იგი თავად  
აქციებდა „ჯალათს“ ძალადობისაცენ და  
რიჩარდისა და „შეკუბოვეთა“ თანდასწ-  
რებით იქვე კუბოსთან თეინიერად ნებღე-  
ბოლა თავის მოსისხლე შტერნს. ვოორინ-ს  
ნათელი და მთრთოლვარე მელოდია საჟ-  
გასმით გამოპყვეთდა კუბისთან ჩადენილ  
მრუშობის სიბილწესა და მერქელო-  
ბას.

რეეისორისა და მსახიობების მიღვომა  
ტრაგედიის ამ ერთ-ერთი საკეთო ეპი-  
ზოდის მიმართ მოკლებული იყო ყოველ-  
გვარ ლმობიერებას — დაუფარავად ირ-  
ნილი და დამგინავი. ისევ და ისევ  
„მსხვერპლის“ მიმართ. ამ სცენაში რი-  
ჩარდი, უფრო სწორად, მასში „ჩამალუ-  
ლი“ ფიგლიარი თამაშობს გაქნილი მაც-  
ლენგბლის ხერხებით, შტამპებითაც კი. მან  
წინასწარ იცის, რომ ყოველი მისი სიტუ-  
აც ზუსტად მოხვდება სამიზნეში და  
მსხვერპლად დაბადებული მის მიერ აკინ-  
ძელ „თამაშში“ თავის როლს არ ჩააგ-  
დებს. ლედი ანას გასვლის შემდეგაც რი-  
ჩარდი — რამაზ ჩიკევაძე კვლავ აგრძე-  
ლებს მის აგდებასა და გამასხარავებას.  
იგი დამკინავად მოიწევს და მერე მიწაზე  
დაავადებს მის „სამულოვარო“ მოსასხამს...  
ბოლოს გადის რა სცენიდან, მანჭევით  
ააყოლებს ფეხს კეპლუც შელოდის, ფარ-  
დაცაც მოიქნევს და აქ იგი უკვე დასცინის  
უველას, ვინც მიამიტად დაიჯერა არსე-  
ბობა ისეთი „უსაფუძვლო“ ცნებებისა, რო-  
გორიცაა მოყვასის სიყვარული, სიბრალუ-  
ლი სუსტის მიმართ, მიცვალებულის ხსოვ-  
ნისა და ღირსების პატივისცემა.



სცენას კვლავ შეამოსასხამიანი ქალი ეუფლებოდა. ახლა მას ხელში შექსპირის ტომი ეყვა და იგი უკვე შზად იყო იმისათვის, რომ გამოეცხადებინა იმ ქმედების სათაური, რომელიც უკვე ნახევარი საათია სცენაზე გრძელდებოდა. „ცხოვრება და სიკვდილი შეფე რიჩარდ III!“ ამ სათაურის სრულ მნიშვნელობას ჩვენ მხოლოდ სპექტაკლის ბოლო წუთებში შევიგრძობთ, მხოლოდ ფინალი ავტისნის, თუ რამი მდგომარეობს მისი ფარული, ეზორული არსი. პირველი მოქმედების შეუგულში კი იგი გაიშოდა მხოლოდ და მხოლოდ როგორც ძალაუფლებისათვის ბრძოლის მორიგი ქადაგის მაუწყებელი შეძაბილი.

მაყურებელს თავიდანე ექლეოდა შესაძლებლობა სრულად გაეცნობიერებინა, რომ შექსპირის „რიჩარდ III“-ის სულიერ ფასეულობათა სისტემა ამ სპექტაკლში მთლიანად უგულებელყოფილია, რომ მასში წაშლილია „სამართლიან მეფის“ ცნება, არ მოქმედებენ ისეთი ზნეობრივი კატეგორიები, როგორიცაა კანონიერი ძალაუფლებისათვის თავის გაწირვა, მშობლიური ქვეყნის სიყვარული, მის ბედზე ზრუნვა... რომ მორჩილი „მსხვერპლი“

ძალადობის ისეთივე „სრულფასოვანი“ მონაწილეა, როგორც ის, ვინც მასზე ძალადობს... სპექტაკლმა თავიდანე გაგვიზიაროთავის ძირითადი იდეაც: ისტორია მეორდება — უსამართლობა, მორომება და სისასტიკე მომთაბარეობენ ერთი ეპოქიდან მეორეში და მათი გარდასახვის, ათასგვარ სამოსსა და ნიღაბში გამოწყობის უნარს საზღვარი არ გააჩნია... ძალაუფლებისათვის ბრძოლა იყო და დარჩის ისტორიის ძირითად მამოძრავებელ ძალად, ხოლო სილამაზებმ, რომელიც ოდით განცე მოწოდებულია კაცობრიობის გადასარჩნად, ერთი წამითაც ვერ შეაჩერა მორომების ზარზეიმური მსელელობა...

ამ დებულების ნათელსაყოფად, მისი, რაც შეიძლება, ზუსტი დასაბუთების მიზნით თანაარსებობდნენ ერთიან სცენურ სიკრცეში ერთმანეთისაგან საუკუნეებით დაშორებული ეპოქები, ურთიერთგამომრიცხავი თეატრალური უანრები, „თანამშრომლობდნენ“ შექსპირი და ბრეტონი...

სპექტაკლის ესეატოლოგიური არსიც თავიდანე ნათელი ხდებოდა მაყურებებისათვის. ისევე, როგორც შემდგომ „მეფე ლირის“ დასაწყისში... იმ განსხვავებით,

ჩომ აქ მოქმედული უკუც დანგრეული შამ-  
ყარის უონზე იწყებოდა, ხოლო 9 წლის  
შემდევ დაღმულ სპეტაკლში ნერვის  
დრინიკია შაყურებჭის თვალშინ ცხადდე-  
ბოდა.

სპეტაკლის პირველივე სცენები შეგვა-  
ნიშვნები აგრეთვე ზუ რა გადამწყვეტი  
როლი ენიჭება პლასტიკას რეესისორული  
ჩანაფერის სცენური განხორციელების  
საქმეში (ქორეოგრაფი იური ზარეცი).  
მოქმედ პირთა „გამოცადებები“ და „გას-  
ვლები“, მათი კლასიცისტური თეატრის  
დონეზე დახვეწილი მოძრაობები და უეს-  
ტები ისევე მრავლისმთქმელი იყო, რო-  
გორც მიმიკა, ინტონაცია, სიტყვა...

რაც შეეხება გი ყაჩჩელის მუსიკას რ.  
სტურუს სპეტაკლებში, უწრიანი იქნე-  
ბოდა გივი ორჯონიშვილის აზრისათვის შეგ-  
ვეძრთა:

„სცენურ პლასტიკა განუყოფელია მუ-  
სიკალურისაგან, მუსიკაში ცხირად ისაა  
ბოლომდე თქმული, რასაც სიტყვა ვეღარ  
იტევს. მუსიკა ანწილებს აქცენტებს და  
უფრო რელიეფურად, ვიდრე ამის ძალა  
თეატრალური გამომსახველობის რომელიმე  
კომპონენტს შესწევს, ფორმის საკანძო  
მომენტებს გვაგრძობინებს. სპეტაკლის  
მუსიკალობა კულმინაციის რეესისორულ  
შეგრძნებასა და დრამატული ექსპრესიის  
ინტონაციური გამომსახველობის გრძნო-  
ბაშიც ვლინდება... მთელ რიც ეპიზოდებ-  
ში ფორმა მუსიკალურ რიტმის მიხედვით  
იგება ხოლმე, სხვა შემთხვევაში კი მას  
მუსიკალურის სცენურთან კონტრასტული  
ქვენის“.<sup>3</sup>...

კველაფრი ეს ცხადად წარმონდა სპეტ-  
რაცილის ექსპონციურ ნაწილში, სადაც  
ხდებოდა არა მარტო მთავარი გმირების  
„ოვითწარმოდენა“, არამედ იმ გამომსა-  
ხველობითი ხეზებისაც, რომელთა მეშვე-  
ობით რ. სტურუა შემდგომშიც შესთავა-  
ზებს შაყურებელს „ერონიკის“ სცენური  
სირცეშესმის მისეულ მეთოდს, თავის აზრს  
შექმნილის დღვევანდელ შინშეწელობაზე.

შევმოსასხმიანი ქალი სტურებდა სცენას  
და მოქმედ პირთა ახალ კვეუფს უთომო-  
და აღიღის. დედოფალი ელისაბერი (სა-  
